



საქართველოს
ევროინიცია და მდგრადი განვითარების
სამინისტრო



BATUMI STATE MARITIME ACADEMY

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



საზღვაო ოპერაციების მართვა

პროგრამის მოკლე აღმწერი

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 43, 28.03.2018



European Commission
TEMPUS



iamu



The
Nautical
Institute



INTERNATIONAL
MARITIME
ORGANIZATION





BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სწავლების საფეხური	მაგისტრატურა
პროგრამის დასახელება	საზღვაო ოპერაციების მართვა
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	საზღვაო ოპერაციების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელები	ი.შარაბიძე, პროფესორი I.sharabidze@bsma.edu.ge ლ.სიხარულიძე L.Sikharulidze@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება -2 სასწავლო წელი (4 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	120 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდების მინიმალურ ზღვარს და საზღვაო აკადემიის მიერ განსაზღვრულ გამოცდებს: 1. ინგლისური ენა; 2. საპორტო ოპერაციების საფუძვლები;
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა



**პროგრამის
მიზანი**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური საზღვაო ტრანსპორტის მართვის სპეციალისტები, რომლებიც შემდგომ საზღვაო ტრანსპორტის ლოჯისტიკური პროცესების ოპტიმალური მართვის და გემების აქცეპტირების თაობაზე შესაბამისი დასკვნების გაკეთებას, საერთაშორისო ორგანიზაციების და საზღვაო პორტების წესების შესაბამისად. ტრანსპორტის მატერიალური, ინფორმაციული, კომერციული, სურვეირული და საბროკერო მომსახურების ნაკადების დაგეგმვას და კონტროლს.

**პროგრამის
შედეგები**

სფეროს სისტემური ფართო ცოდნა მაგისტრანტს აძლევს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. შეუძლია საზღვაო ტრანსპორტის ლოჯისტიკის გამოყენება სატვირთო ოპერაციების დაგეგმვა და დისტანციური მონიტორინგის უზრუნველყოფა. ტრანსპორტირების ოპტიმიზაციის ორიგინალური გზების ძიების პროგნოზირება და მონიტორინგის კომპიუტერული მართვის სისტემების გამოყენება საზღვაო ოპერაციების დროს. ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესის კომპლექსური დაგეგმვა და მართვა. ტვირთის უსაფრთხო გადატანის ნორმების უზრუნველყოფა. სატრანსპორტო ოპერაციების კომერციული და ეკონომიკური ეფექტურობის კრეატიული განსაზღვრა.





პროგრამის სტრუქტურა

მაგისტრანტის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი 120 ECTS კრედიტი. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება სტანდარტულად აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში).

ყოველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცედინეობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა ცოდნის შეფასებას.



დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ საზღვაო ოპერაციების მაგისტრს შეუძლია იმუშაოს:

- საზღვაო კომპანიებში, საზღვაო პორტების ტერმინალებში, საზღვა საფინანსო ცენტრებში, სამეცნიერო-კვლევით, აგრეთვე, შეუძლია პროფესიული და პრაქტიკული მოღვაწეობა თეორიულ და ექსპერიმენტულ მეცნიერებათა სფეროში;
- საზღვაო ბიზნესის სფეროში;
- საზღვაო სატრანსპორტო და მომიჯნავე პროფილის სამეცნიერო-კვლევით და საწარმოო ორგანიზაციები, ფირმებში, კერძო კომპანიებში, საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური ფონდებში, ტრანსპორტისა და ეკონომიკის მართვის სისტემებში.



**ადამიანური
რესურსი**

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს არჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული დარგის სპეციალისტები:

პროფესორი- 3

ასოცირებული პროფესორი- 7

მოწვეული დარგის სპეციალისტი - 2

**მატერიალური
რესურსი**

საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც უახლესი თანამედროვე კომპიუტერული გამოზომი ინსტრუმენტებითა და ლაბორატორული დანადგარებითაა აღჭურვილი.

სტუდენტთა სწავლებისა და მომზადების პროცესში გამოიყენება:

- ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, ჰიდრავლიკისა და პნევმატიკის სასწავლო ლაბორატორიები;
- დიზელის რეალური ძრავებით აღჭურვილი სამანქანო დარბაზი;
- საზეინკლო, სახარატო და შემდუღებელი ლაბორატორია;
- სამაშველო კანჯოს წყალზე დაშვების ტრენაჟერი;
- სატაკელაჟო საქმის ლაბორატორია.
- საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს.

**შეფასების
სისტემა**

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.



BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!